

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2018 წლის 18 იანვარი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტისა და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად,
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 თებერვლის №9 დადგენილება (w.w.w.matsne.gov.ge, 23.02.2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.151.016198) „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ სეთურიძე

დანართი №1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი(ლარში)
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1900



3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1700
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1400
	საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები	
5	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი – I რანგი	1500
6	უფროსი სპეციალისტი – III რანგის II კატეგორია	1000
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	
7	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	800

